საქართველოს პროკურატურა

ბავშვის უფლებები მართლმსაჯულების პროცესში

გზამკვლევი ბავშვებისთვის

2025

გზამკვლევი ბავშვებისთვის

ბროშურაში შენ დეტალურად შეგიძლია გაეცნო შემდეგ ინფორმაციას

მოხარული ვართ, რომ ამ ბროშურით დაინ-ტერესდი და გინდა მეტი იცოდე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არასრულწლოვნის უფლებების შესახებ.

აქ შენ შეგიძლია მიიღო ინფორმაცია შენთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე და გაიგო, რა სტატუსი შეიძლება გქონდეს მართლმსაჯულების პროცესში. ამ გვერდზე შენ ასევე, შეგიძლია გაეცნო ინფორმაციას, თუ რა უფლებებით ისარგებლებ თუ მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის მიღება მოგიწევს მოწმის, დაზარალებულის ან კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის სტატუსით.

ვიმედოვნებთ, როდესაც შენ გაეცნობი აქ არსებულ ინფორმაციას, იპოვი პასუხებს შენთვის საინტერესო კითხვებზე. ასევე, გაიგებ თუ რა ეტაპზე შეიძლება მოგიწიოს კომუნიკაცია გამომძიებელთან ან პროკურორთან, როგორია მათი როლი ზოგადად მართლმსაჯულების პროცესში და შენთან მიმართებით.

ვისთან შეიძლება მოგიწიოს კომუნიკაცია მართლმსაჯულების პროცესში

ბავშვის უფლებები მართლმსაჯულების პროცესში

მოწმე და დაზარალებული არასრულწლოვანი

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი

დამატებითი ინფორმაცია და მასალები

ვისთან შეიძლება მოგიწიოს კომუნიკაცია მართლმსაჯულების პროცესში

მართლმსაჯულების პროცესში შენ შეიძლება მოგიწიოს ურთიერთობა სხვადასხვა ადამიანთან. მათ განსხვავებული უფლებამოსილებები გააჩნიათ და შესაბამისად, განსხვავებულია მათი როლი.

მართლმსაჯულების პროცესში შენ შეიძლება კომუნიკაცია გქონდეს შემდეგ პირებთან:

გამომძიებელი

როცა დანაშაული ხდება, გამომძიებელი იწყებს გამოძიებას. ამ პროცესში ის აგროვებს მტკიცებულებებს და არკვევს რა მოხდა სინამდვილეში. მტკიცებულებების შეგროვების მიზნით ის ატარებს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებებს, მათ შორის, გამოკითხავს პირებს. გამომძიებელმა შესაძლოა შენც გამოგკითხოს, ე.ი. დაგისვას კითხვები მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით. გამომძიებელთან შენი ურთიერთობა მნიშვნელოვანია, რადგან შენს მიერ მიწოდებული ინფორმაცია მას სიმართლის დადგენაში ეხმარება.

ადვოკატი

ადვოკატი არის ადამიანი, ვინც გიწევს სამართლებრივ დახმარებას. კერძოდ, გეხმარება, მართლმსაჯულების პროცესში დაცული იყოს შენი უფლებები და მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული შენი ინტერესები. ზოგიერთ შემთხვევაში ადვოკატი აუცილებლად გეყოლება, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში შენი სურვილის მიხედვით გადაწყდება გყავდეს თუ არა ადვოკატი. (უფრო დეტალურად იხ.: ბავშვის უფლებები მართლმსაჯულების პროცესში. გვ. 5).

პროკურორი

პროკურორი არის ადამიანი, რომელიც საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს იღებს გამომძიებლის მიერ შეგროვებული მტკიცებულებების საფუძველზე. ის დანაშაულის შედეგად დაზარალებულ ადამიანს ანიჭებს დაზარალებულის სტატუსს, ხოლო, იმ პირის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. გამომძიებლის მიერ მტკიცებულებების სრულად შეგროვების შემდეგ პროკურორი საქმეს სასამართლოს გადასცემს. მოსამართლის მიერ საქმის განხილვისას კი პროკურორი სასამართლოს წარუდგენს გამოძიების დროს მოპოვებულ მტკიცებულებებს. ამდენად, პროკურორთან ურთიერთობა შესაძლოა გქონდეს როგორც გამოძიებისას, ასევე სასამართლოში. ისევე, როგორც გამომძიებლისთვის, პროკურორისთვისაც შენს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას დიდი მნიშვნელობა აქვს სიმართლის დასადგენად.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი

თუ შენ მოწმე ან დაზარალებული ხარ, გამომძიებელი ან პროკურორი, შენი ინტერესების გათვალისწინებით, საქმეში ჩართავს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორს. კოორდინატორი მოგაწოდებს ინფორმაციას შენთვის საინტერესო საკითხებზე, აგიხსნის მართლმსაჯულების პროცესში შენს როლს, ასევე, მოგაწვდის ინფორმაციას როგორ მიმდინარეობს მართლმსაჯულება, რის შემდეგ რა ხდება. თუ შენ ხარ დაზარალებული და გექნება სურვილი, კოორდინატორი პერიოდულად გაცნობებს რა ხდება საქმეში. კოორდინატორი დაგეხმარება თავშესაფრის მოძიებაში, თუ ეს შენ დაგჭირდება. ასევე, გაგარკვევს, ვის შეიძლება მიმართო, თუ გჭირდება ისეთი ადამიანის დახმარება, რომელიც დაგეხმარება სტრესთან გამკლავებაში. სურვილის შემთხვევაში, შენი ემოციური მხარდაჭერის მიზნით კოორდინატორი დაესწრება შენს გამოკითხვას გამოძიების ეტაპზე და სასამართლოში.

კანონიერი წარმომადგენელი

საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, ასევე, სასამართლო პროცესზე მონაწილეობისას, გვერდით ყოველთვის გეყოლება კანონიერი წარმომადგენელი. ის შეიძლება იყოს შენი მშობელი, პაპა, ბებია, და, ძმა, ასევე, სხვა ახლო ნათესავი. კანონიერი წარმომადგენელი დაიცავს შენს ინტერესებს და განახორციელებს შენს მხარდაჭერას.

საპროცესო წარმომადგენელი

იმ შემთხვევაში, თუ კი მართლმსაჯულების პროცესში ვერ მონაწილეობს შენი მშობელი ან სხვა ახლო ნათესავი, შენი სურვილის გათვალისწინებით ის შესაძლოა ჩაანაცვლოს შენთვის სანდო პირმა. თუ ასეთი ადამიანის მოძიება ვერ ხერხდება, გამომძიებელი საპროცესო წარმომადგენელად დაგინიშნავს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელს - სოციალურ მუშაკს. ასეთ დროს მშობლის ან სხვა სანდო პირის ნაცვლად სოციალურ მუშაკი განახორციელებს მართლმსაჯულების პროცესში შენს მხარდაჭერას და იზრუნებს შენი უფლებების დაცვაზე.

ფსიქოლოგი

თუ მომხდარი დანაშაულის გამო ან შენი ემოციური მდგომარეობიდან გამომდინარე სპეციალისტის დახმარება გჭირდება, ასეთ დახმარებას ფსიქოლოგი გაგიწევს. საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგი ჩაერთვება გამომძიებლის ან პროკურორის გადაწყვეტილებით. ფსიქოლოგი შეაფასებს შენს მდგომარეობას და დაგეხმარება ემოციების მართვაში.

მოსამართლე

მოსამართლე არის ადამიანი, რომელიც საქმეს განიხილავს სასამართლოში. ის შეისწავლის ყველა იმ მტკიცებულებას, რომელიც სხდომაზე პროკურორმა, ბრალდებულმა ან ბრალდებულის ადვოკატმა წარუდგინეს. მტკიცებულებების შესწავლის დროს ის მოუსმენს დაზარალებულს, პროკურორს, დანაშაულის ჩამდენ პირს, მის ადვოკატს, ასევე, ყველა იმ ადამიანს, რომლის მიერ მიწოდებული ინფორმაციაც მნიშვნელოვანია სიმართლის დასადგენად. ამ ყველაფრის შემდეგ, მოსამართლე საქმეზე იღებს გადაწყვეტილებას.

ბავშვის უფლებები მართლმსაჯულების პროცესში

შენ ითვლები არასრულწლოვნად, ვიდრე 18 წლის გახდები. არასრულწლოვნის ასაკის გათვალისწინებით კანონმა დაადგინა სპეციალური წესები, რომელიც მართლმსაჯულების პროცესში შენზე გავრცელდება და უზრუნველყოფს შენი უფლებების დაცვას.

მართლმსაჯულების პროცესში შენ შეიძლება მონაწილეობდე მოწმის, დაზარალებულის ან კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სტატუსით.



მოწმე

თუ შენ გაქვს რაიმე ინფორმაცია მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვანია სიმართლის დასადგენად, შენ შეიძლება დაგიბარონ მოწმის სტატუსით. მოწმე შეიძლება იყო მაშინ, როდესაც შეესწარი დანაშაულის ფაქტს, ან როცა მართალია უშუალოდ არ შეესწარი დანაშაულს, მაგრამ გაქვს რაიმე ინფორმაცია, მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით.

დაზარალებული

თუ დანაშაულმა გავლენა მოახდინა შენს ემოციურ მდგომარეობაზე, დაგიზიანდა ჯანმრთელობა ან მატერიალურად დაზარალდი, პროკურორი გამოიტანს დადგენილებას შენი დაზარალებულად ცნობის შესახებ. ამ მომენტიდან შენ ისარგებლებ დაზარალებულის სტატუსით და შესაბამისი უფლებებით.

კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი

თუ შენ ხარ 14-დან 18 წლამდე პირი და ჩაიდინე დანაშაული, მართლმსაჯულების პროცესში შენ გექნება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სტატუსი. ეს ნიშნავს, რომ მართლმსაჯულების პროცესში შენ ისარგებლებ ამ სტატუსის შესაბამისი უფლებებით, რაც ემსახურება შენი ინტერესების დაცვას. ასევე, გექნება გარკვეული ვალდებულებები, რომელიც ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების პროცესის განხორციელებას.

მიუხედავად იმისა, ხარ მოწმე, დაზარალებული თუ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი, მართლმსაჯულების პროცესში შენ გაქვს შემდეგი უფლებები:

შენი საუკეთესო ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინების უფლება - შენი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება გულისხმობს მართლმსაჯულების პროცესის წარმართვას უსაფრთხო, მხარდამჭერ გარემოში, შენთვის გასაგები ფორმით, გასაგებ ენაზე.

პირადი ცხოვრების დაცვის უფლება - მართლმსაჯულების პროცესში შენი ჩართულობის შესახებ მხოლოდ იმ პირებმა იციან, ვინც მონაწილეობენ ამ პროცესში. სხვა პირებს ხელი არ მოუწვდებათ შენთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე.

მოსმენის უფლება - შენ უფლება გაქვს მართლმსაჯულების პროცესში უშუალოდ მიიღო მონაწილეობა წარმომადგენელთან ერთად. შენს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას აუცილებლად მოუსმენენ და გაითვალისწინებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუ მართლმსაჯულების პროცესში რაიმეს ვერ გაიგებ, შეგიძლია მოითხოვო დამატებითი განმარტება და მიიღო ინფორმაცია შენთვის გასაგები ენით.

იმისთვის, რომ შენი უფლებები კარგად გაიგო და მართლმსაჯულების პროცესში დაცულად იგრძნო თავი, ასევე, შენი საჭიროებების სწორად გასაგებად, შენს გვერდით ყოველთვის უნდა იყოს შენი სრულწლოვანი წარმომადგენელი, ანუ 18 წელს მიღწეული პირი, რომელიც შეიძლება იყოს დედა, მამა, ბებია, პაპა, და, ძმა და სხვა. თუ ისინი ვერ ახერხებენ შენს გვერდით ყოფნას, შესაძლოა შენივე აზრის გათვალისწინებით, შენს წარმომადგენლად მოიწვიონ სანდო პირი. სანდო პირი შეიძლება იყოს შენი ნათესავი, პედაგოგი, მეგობარი ან სხვა ზრდასრული ადამიანი, რომელსაც შენ ენდობი. თუ არ გყავს ასეთი ადამიანი, ან ის ვერ ახერხებს შენს გვერდით ყოფნას, გამომძიებელი მოიწვევს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელს - სოციალურ მუშაკს.

მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის მიზნით გამომძიებელი/პროკურორი შენ სწორედ შენი წარმომადგენლის მეშვეობით დაგიკავშირდება.

საგამოძიებო მოქმედებები, რომელშიც შეიძლება მიიღო მონაწილეობა

გამოძიების დროს შენ მოგიწევს მონაწილეობა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებაში. შენი მონაწილეობა ეხმარება გამომძიებელს და პროკურორს სიმართლის დადგენაში.

შენ შეიძლება მონაწილეობა მიიღო გამოკითხვაში, საგამოძიებო ექსპერიმენტში, შეიძლება ჩაგიტარდეს ექსპერტიზა ან შენგან აიღონ რაიმე სახის ნიმუში.

მოკლედ განვმარტოთ თითოეული მათგანი:

- **გამოკითხვა** - გამოკითხვის დროს გამომძიებელს უნდა მიაწოდო ინფორმაცია, რაც იცი მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით. გამოკითხვა ნებაყოფლობითია. გამოკითხვის დროს გამომძიებელი დაგისვამს კითხვებს. შენ შეგიძლია ინფორმაცია გამომძიებელს მიაწოდო იმ ფორმით, რომელიც მოსახერხებელია შენთვის, მაგალითად, დახატო. გამოკითხვის შესახებ გამომძიებელი შეადგენს ოქმს, რომელშიც ასახავს გამოკითხვის მიმდინარეობას და შენს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. გამოკითხვის დასრულების შემდეგ შენ უნდა გაეცნო გამოკითხვის ოქმს და მისი სისწორე დაადასტურო ხელმოწერით. შესაძლებელია გამოკითხვა გამომძიებელმა ჩაიწეროს ვიდეოკამერით, რის შესახებაც წინასწარ გაგაფრთხილებს. გამოკითხვა ტარდება მხოლოდ დღისით, დილის 8 საათიდან საღამოს 10 საათამდე. შენ შეგიძლია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვო შესვენება.

- **საგამოძიებო ექსპერიმენტი** - ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს შენი ჩვენების დანაშაულის ადგილზე შემოწმება, რათა აღადგინო მნიშვნელოვანი გარემოებები. შესაბამისად, თუ გამომძიებელი საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობის მიღების მიზნით დაგიბარებს, მნიშვნელოვანია ჩაერთო ამ საგამოძიებო მოქმედებაში, ვინაიდან ინფორმაციის ამ გზით გადამოწმება გამოძიებას ეხმარება სიმართლის დადგენაში.

- **ექსპერტიზა/ნიმუშის აღება** - ძალადობის ფიზიკური ნიშნების დადგენის (მაგალითად, სხეულზე დაზიანების არსებობის), განცდილი ფსიქოლოგიური ტრავმის და სხვა გარემოებების დადგენის მიზნით, სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირი ატარებს ექსპერტიზას. ასევე, შეიძლება საჭირო გახდეს შენგან სხვადასხვა სახის ნიმუშის (სისხლი, ნერწყვი და ა. შ.) აღება, რომლის მიზანია საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოების დადგენა.

გახსოვდეს რომ ყველა ზემოაღნიშნულ მოქმედებაში შენი მონაწილეობა მნიშვნელოვანია. შენს მიმართ ყველა გადაწყვეტილება გარემოებების ობიექტურად შეფასების და შენი ინდივიდუალური საჭიროებების გარკვევის შემდეგ მიიღება.

შენი უფლებების შესახებ საინტერესო ინფორმაციას, შენი სტატუსის შესაბამისად, დაწვრილებით შეგიძლია გაეცნო შესაბამის ბლოკში.

მოწმე და დაზარალებული არასრულწლოვანი

თუ შენ დანაშაულის მოწმე ან დაზარალებული ხარ, გარდა იმ უფლებებისა, რის შესახებაც ვისაუბრეთ შესაბამის თავში „ბავშვის უფლებები მართლმსაჯულების პროცესში“ (იხ.: გვ. 5), გაქვს შემდეგი უფლებები:

დაზარალებულის/მოწმის დაცვის უფლება

თუ პროკურორმა მიიღო შენი დაზარალებულად ცნობის გადაწყვეტილება და არ გყავს შენს მიერ არჩეული ადვოკატი, შენ აუცილებლად დაგენიშნება ადვოკატი, რომელიც მომსახურებას გაგიწევს უფასოდ. შენ ნებისმიერ დროს შეგიძლია უარი თქვა დანიშნულ ადვოკატზე და თავად აირჩიო ადვოკატი.

თუ მოწმე ხარ, ამ შემთხვევაშიც გაქვს საკუთარი ხარჯით ადვოკატის ყოლის უფლება. ადვოკატის უფასო მომსახურებით მხოლოდ იმ შემთხვევაში ისარგებლებ, თუ ხარ გადახდისუუნარო ან შენი გამოკითხვა უნდა მოხდეს დანაშაულზე, რომელმაც დააზიანა ადამიანის სიცოცხლე ან-და ჯანმრთელობა, სქესობრივ დანაშაულებზე, ასევე, იმ შემთხვევებში, თუ შენ ადამიანის წამების, წამების მუქარის ან დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის მოწმე ხარ.

დაზარალებულის მიერ ინფორმაციის მიღების უფლება

თუ შენ ხარ დაზარალებული, შეგიძლია მიიღო ინფორმაცია მართლმსაჯულების პროცესის მიმ-დინარეობის შესახებ. კერძოდ, იცოდე რაში ედება ბრალი შენს მიმართ დანაშაულის ჩამდენ პირს, რა სახის შეზღუდვები დაუწესდა ბრალდებულს, მიიღო ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, გქონდეს ინფორმაცია სასამართლო სხდომის თარიღების შესახებ, იცოდე რა გადაწყვეტილება მიიღო მოსამართლემ და რა სასჯელი შეეფარდა დანაშაულის ჩამდენ პირს.

შენ შეგიძლია გაეცნო საქმის მასალებს და მიიღო საქმისა და საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებების ასლები.

დაზარალებულის/მოწმის მიერ სასამართლოში ჩვენების მიცემა

გამოძიების დასრულების შემდეგ ბრალდებულის მიმართ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით საქმე იგზავნება სასამართლოში. მოსამართლე ეცნობა ყველა მტკიცებულებას, უსმენს მოწმეებს, დაზარალებულებს და პროცესის სხვა მონაწილეებს, რის შემდეგაც საქმეზე იღებს გადაწყვეტილებას. სასამართლოში საქმის განხილვისას შენ შესაძლოა მოგიწიოს ჩვენების მიცემა იმ გარემოებების შესახებ, რაც იცი დანაშაულთან დაკავშირებით. ამ პროცესს სასამართლოში დაკითხვა ეწოდება.

სასამართლოში დაკითხვამდე პროკურორი შეგხვდება და დაწვრილებით აგიხსნის როგორ წარიმართება შენი დაკითხვის პროცესი. შენი ინტერესებიდან გამომდინარე, თუ სასამართლო პროცესზე ბრალდებულის თანდასწრებით ჩვენების მიცემა გიქმნის დისკომფორტს, შენი დაკითხვა განხორციელდება ბრალდებულის დასწრების გარეშე. ასეთ დროს მოსამართლე წინასწარ მიიღებს გადაწყვეტილებას ბრალდებულის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესახებ და შენ არ მოგიწევს მასთან კომუნიკაცია. ასევე, შენივე ინტერესების გათვალისწინებით, შესაძლებელია შენი დაკითხვისას შეიზღუდოს პროცესზე გარეშე პირების დასწრება;

თუ ხარ დაზარალებული, როგორც გამოძიებისას, ისევე სასამართლოში, შენს გვერდით იქნება კანონიერი ან საპროცესო წარმომადგენელი და ადვოკატი, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში - მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი და ფსიქოლოგი. იმ შემთხვევაში, თუ შენ ხარ მოწმე, შენს გვერდით ყოველთვის იქნება კანონიერი ან საპროცესო წარმომადგენელი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - ადვოკატი, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი და ფსიქოლოგი. მათ შესახებ ინფორმაცია მითითებულია თავში: „ვისთან შეგიძლია მოგიწიოს კომუნიკაცია მართლმსაჯულების პროცესში“ (იხ.: გვ. 3).

თუ შენს მიმართ ძალადობრივი ხასიათის დანაშაული ჩაიდინეს, დანაშაულის შედეგად მიყენებული სტრესის დაძლევის მიზნით გამომძიებელი ან პროკურორი გადაგამისამართებს შესაბამის სამსახურში.



კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი

დანაშაულის გააზრება და ჩადენილ ქმედებაზე პასუხისმგებლობის აღება მნიშვნელოვანია. გახსოვდეს, რომ დანაშაული აზიანებს სხვა ადამიანის უფლებებს.

თუ შენ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი ხარ, გარდა იმ უფლებებისა, რაზეც აღნიშნულია შესაბამის თავში - „ბავშვის უფლებები მართლმსაჯულების პროცესში“ (იხ.: გვ. 5), დამატებით უნდა იცოდე შემდეგი:

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი

თუ შენ დანაშაული ჩაიდინე და უკვე 14 წლის ხარ, ე.ი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიაღწიე.

14 წლის ასაკიდან შენ გეკისრება პასუხისმგებლობა შენს მიერ ჩადენილ დანაშაულზე

რა გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს პროკურორმა შენს მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში

პროკურორმა შენს მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათის, მიყენებული ზიანის და შენი პიროვნების გათვალისწინებით, შესაძლებელია მიიღოს შენი ბრალდებულად ცნობის გადაწყვეტილება, ანუ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან შენს მიმართ გამოიყენოს სისხლისსამართლებრივი დევნის ალ-ტერნატივა - განრიდება ან განრიდება-მედიაცია.

სისხლისსამართლებრივი დევნა-ბრალდებულად ცნობა

თუ პროკურორი გადაწყვეტს შენს მიმართ დევნის დაწყებას, ის გცნობს ბრალდებულად და გამოიტანს დადგენილებას შენი ბრალდებულად ცნობის შესახებ. ამ დადგენილებას გაგაცნობს გამომძიებელი ან პროკურორი, განგიმარტავს რაში გედება ბრალი და გაგაცნობს შენს უფლება-მოვალეობებს. შენ, როგორც ბრალდებულს, გაქვს უფლება არ მისცე ჩვენება საკუთარი თავის და ახლო ნათესავების (მშობელი, და, ძმა პაპა, ბებია და სხვა) წინააღმდეგ. გაქვს უფლება ისარგებლო დუმილის უფლებით. თუ ხარ ბრალდებული, შენ აუცილებლად გეყოლება ადვოკატი და გაქვს უფლება უფასოდ ისარგებლო ადვოკატის მომსახურებით.

შენ გაქვს უფლება გაეცნო შენს წინააღმდეგ შეგროვილ მტკიცებულებებს. ასევე, უფლება გაქვს თავად ან შენი ადვოკატის მეშვეობით შეაგროვო მტკიცებულებები.

შენ, როგორც ბრალდებულს, გარკვეული ვალდებულებებიც გეკისრება. მაგალითად, შენ არ უნდა მიიმალო, თუ გამომძიებელი ან პროკურორი გიბარებს, უნდა გამოცხადდე. შენ შეიძლება ჩაგიტარდეს ექსპერტიზა, ასევე, შენგან შეიძლება აღებული იქნეს სხვადასხვა ნიმუშები, მაგ.: თითის ანაბეჭდი. თუ ამ ვალდებულებებს არ ასრულებ, ან არსებობს რისკი, რომ ამ ვალდებულებებს არ შეასრულებ, შენს წინააღმდეგ შეიძლება გამოყენებული იქნეს გარკვეული შეზღუდვები. მოსალოდნელი საფრთხეების და რისკების გათვალისწინებით, შენს წინააღმდეგ შეიძლება გამოყენებული იქნეს რომელიმე აღკვეთის ღონისძიება: მეთვალყურეობაში გადაცემა, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, გირაო, უკიდურეს შემთხვევაში - პატიმრობა.

განრიდება/განრიდება-მედიაცია

დანაშაულისთვის განსაზღვრული სასჯელის ზომიდან გამომდინარე, კანონი დანაშაულს სამ კატეგორიად ყოფს. დანაშაული შეიძლება იყოს ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე. თუ შენ ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩაიდინე, ადრე არ ყოფილხარ ნასამართლევი ან განრიდებული და აღიარებ დანაშაულს, შენი და შენი წარმომადგენლის თანხმობის შემთხვევაში, პროკურორმა შესაძლოა მიიღოს შენი განრიდების გადაწყვეტილება.

განრიდება ნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ნაცვლად შენ დაგეკისრება გარკვეული ვალდებულებები, რომელიც დაგეხმარება გაიაზრო ჩადენილი დანაშაულის არსი, გააცნობიერო დანაშაულის უარყოფითი გავლენა საზოგადოებაზე და პირადად შენს მომავალზე და არ ჩაიდინო ახალი დანაშაული.

განრიდება გაძლევს შესაძლებლობას აიღო პასუხისმგებლობა ჩადენილ ქმედებაზე, გამოასწორო დანაშაულის უარყოფითი შედეგები, გააგრძელო ცხოვრება ნასამართლობის გარეშე და გადადგა ნაბიჯი წარმატებული მომავლისკენ.

განრიდების გამოყენების შემთხვევაში შესაძლოა შენ ჩაერთო მედიაციაშიც. მედიაცია გულისხმობს დაზარალებულთან დიალოგს, რომლის მიზანი არის დაზარალებულთან შერიგება და კონფლიქტის გადაწყვეტა.

თუ პროკურორი მიიღებს შენი განრიდების გადაწყვეტილებას, შენთან გაფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც გარკვეული ვალდებულებები დაგეკისრება.

განრიდების პროცესში შენთან იმუშავებენ პროკურორი და სოციალური მუშაკი, ხოლო, მედიაციის დროს, ასევე, მედიატორი.

თავდაპირველად შენ შეგხვდება პროკურორი და გაგესაუბრება ჩადენილი დანაშაულის შესახებ. პროკურორი მოგაწვდის ინფორმაციას განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შესახებ, მათ შორის, გაგესაუბრება იმის თაობაზე, თუ რა ვალდებულებები შეიძლება დაგეკისროს ხელშეკრულებით. საწყის ეტაპზე პროკურორი მოგაწვდის ზოგადი ხასიათის ინფორმაციას და ხელშეკრულების საბოლოო პირობების განსაზღვრის მიზნით დაელოდება სოციალური მუშაკის მიერ შენს შეფასებას.

სოციალური მუშაკი არის სპეციალისტი, რომელსაც ევალება შენი შეფასება. ამ მიზნით, ის შეგხვდება შენ, შენი ოჯახის წევრებს, შეისწავლის შენს საცხოვრებელ გარემოს, ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. ეს მნიშვნელოვანია შენს საჭიროებებზე მორგებული პირობების განსაზღვრისთვის.

თუ შენს მიერ ჩადენილი დანაშაულით დაზარალდა სხვა პირი, საქმეში ჩაერთვება მედიატორი, რომელიც არის დამოუკიდებელი და ნეიტრალური პირი. მედიატორის მიზანია დაზარალებულს მიაწოდოს ინფორმაცია განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შესახებ და დაითანხმოს ის მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე. თუ დაზარალებული დათანხმდება მედიაციაში მონაწილეობას, მედიატორი შეგახვედრებს დაზარალებულს და გაუძღვება თქვენს შეხვედრას.

სოციალურ მუშაკთან შეხვედრის შემდეგ ხელშეკრულების პირობები შემუშავდება დაზარალებულის ინტერესების და შენი საჭიროებების გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობები დაგეხმარება გააცნობიერო ჩადენილი დანაშაული, დაძლიო სირთულეები და მავნე ჩვევები. ხელშეკრულება შესაძლოა გაგიფორმდეს 12 თვემდე ვადით. ხელშეკრულების პირობები შესაძლოა იყოს საგანმანათლებლო ან მიზნად ისახავდეს ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას ან გულისხმობდეს სხვადასხვა მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართვას. ასევე, ხელშეკრულებით შესაძლებელია დაგეკისროს დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შენთან იმუშავებს სოციალური მუშაკი. ის იქნება შენი მხარდამჭერი და დაგეხმარება ხელშეკრულების პირობების შესრულებაში.

ხელშეკრულების პირობების შესრულების მდგომარეობაზე სოციალური მუშაკი ყოველთვიურად მიაწვდის ინფორმაციას პროკურორს.

თუ შენ შეასრულებ ხელშეკრულების ყველა პირობას, პროკურორი შეწყვეტს გამოძიებას, ხოლო თუ შენ არ შეასრულებ ხელშეკრულების პირობებს ან ჩაიდენ ახალ დანაშაულს, პროკურორი გააუქმებს ხელშეკრულებას და დაიწყებს შენს მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას.

14 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულზე რეაგირება

თუ შენ ჯერ არ ხარ 14 წლის და დანაშაული ჩაიდინე, მიუხედავ ად იმისა, რომ არ მიგიღწევია იმ ასაკისათვის, როცა შეიძლება დაგეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ეს არ ნიშნავს, რომ შენს მიერ ჩადენილი ქმედება რეაგირების გარეშე დარჩება. მნიშვნელოვანია, შენ გაიაზრო ჩადენილი ქმედების უარყოფითი შედეგები. ამ მიზნით, პროკურორი შენ გადაგამისამართებს შესაბამის სპეციალისტთან. ის მოახდენს შენს შეფასებას, რის საფუძველზეც დაგეკისრება გარკვეული ვალდებულებები და ჩაერთვები სხვადასხვა აქტივობებში, რათა გაიაზრო დანაშაულის უარყოფითი შედეგები, დაძლიო რთული ქცევა და თავიდან აირიდო დანაშაულის განმეორება.

დამატებითი ინფორმაცია და მასალები

სად შეგიძლია მიიღო დახმარება

• თუ შენ გჭირდება დახმარება ან კონსულტაცია შენს მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე ან სხვა ისეთ საკითხზე, როგორიც არის განათლება, ჯანმრთელობა და ა.შ., შეგიძლია დარეკო ბავშვთა დახმარების უფასო ცხელ ხაზზე: 111
• საჭიროების შემთხვევაში, შენ შეგიძლია დარეკო საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის უფასო ცხელ ხაზზე (პოლიცია, სასწრაფო სამედიცინო დახმარება, სახანძრო) – 112
• თუ სკოლაში შეგექმნა პრობლემა და გჭირდება დახმარება, შეგიძლია მიმართო სასკოლო მანდატურის სამსახურს ან დარეკო მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების უფასო ცხელ ხაზზე – 08 08 00 00 00 88
• თუ გჭირდება სამართლებრივი დახმარება და ადვოკატი, შეგიძლია დარეკო იურიდიული დახმარების უფასო ცხელ ხაზზე - 1485

საინტერესო ვებგვერდები, სადაც შეგიძლია მოიძიო ინფორმაცია ბავშვის უფლებების შესახებ

https://ombudsman.ge/geo/sainformatsio-masalebi-bavshvebistvis
https://www.unicef.org/georgia/ka
https://befriend.mes.gov.ge/
https://myrights.gov.ge/ka/%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/faq?type=114

შენი უფლებების შესახებ დამატებით შეგიძლია გაეცნო

ბავშვის უფლებათა კონვენციას
(იხ.: https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martl3.pdf)

ბავშვის უფლებათა კოდექსს
(იხ: https://matsne.gov.ge/en/document/view/4613854?impose=parallelRu&fullscreen=1&publication=0)

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს
(იხ.: https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martl1.pdf)